საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

05/04/2024

MIA 6 24 01030335

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის
სამსახურის უფროსის მოადგილეს
(სანებართვო საკითხებში)
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2024 წლის პირველი აპრილის N60-01240923721 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის №71-ში და მატროსოვის ქ. №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.12.005.064) ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის II ბლოკის შენობის არქიტექტურულ პროექტზე, 2023 წლის 13 მარტის NMIA 6 23 00699138 წერილის საფუძველზე გაიცა შესაბამისობის დასკვნა. ამჟამად წარმოდგენილი კორექტირების შედეგად (კორექტირება ითვალისწინებს ბოლო 3 სართულზე "6-7" -"ა-დ" ღერძებში შენობის შემცირებას, ასევე ბოლოს სართულის ბინებზე დუპლექსების მოწყობას) არ დარღვეულა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტებში არქიტექტურული პროექტის შესაბამისად (შენობის +70.65, +73.80 და 76.80 ნიშნულების არქიტექტურულ და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტებს შორის შეუსაბამობაა, ამ უკანასკნელში არ ფიქსირდება დუპლექსი ბოლო სართულზე, ასევე განსხვავებულია "2-3" ღერძებში კიბის უჯრედის მოწყობის საკითხიც) კორექტირების შეტანა და **სამი თვის ვადაში** საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განსახილველად წარმოდგენა.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი